

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №171
2017 წლის 24 თებერვალი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №168 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 იანვრის №168 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 24/01/2017, სარეგ. კოდი 190020020.35.157.016272) დამტკიცებულ დანართში „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი“ და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გოჩა თედორაძე

დანართი 1

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

თავი I

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	8,501.1	11,268.0	3,489.6	7,778.4	7,204.0	0.0	7,204.0	7,314.0	7,454.0	7,639.0
გადასახადები	806.0	3,374.2	0.0	3,374.2	3,380.0	0.0	3,380.0	2,605.4	2,745.0	2,905.0
გრანტები	7,193.1	7,508.5	3,489.6	4,018.9	3,531.6	0.0	3,531.6	4,392.0	4,392.0	4,392.0
სხვა შემოსავლები	502.0	385.3	0.0	385.3	292.4	0.0	292.4	316.6	317.0	342.0



ხარჯები	5,717.9	6,106.1	0.0	6,106.1	6,353.1	0.0	6,353.1	6,710.0	6,812.0	6,909.0
შრომის ანაზღაურება	1,590.8	1,738.4	0.0	1,738.4	1,574.6	0.0	1,574.6	1,602.3	1,602.3	1,602.3
საქონელი და მომსახურება	1,459.6	1,692.6	0.0	1,692.6	1,954.4	0.0	1,954.4	2,092.6	2,108.6	2,125.6
პროცენტი	0.0	141.2	0.0	141.2	203.3	0.0	203.3	203.3	203.3	203.3
სუბსიდიები	1,705.3	1,939.9	0.0	1,939.9	2,033.0	0.0	2,033.0	2,254.0	2,315.0	2,380.0
გრანტები	388.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	510.9	516.1	0.0	516.1	450.0	0.0	450.0	480.0	505.0	520.0
სხვა ხარჯები	63.3	77.9	0.0	77.9	117.8	0.0	117.8	77.8	77.8	77.8
საოპერაციო საღდო	2,783.2	5,161.9	3,489.6	1,672.3	850.9	0.0	850.9	604.0	642.0	730.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,416.6	2,475.4	1,913.3	562.1	4,347.0	2,083.6	2,263.4	604.0	642.0	730.0
ზრდა	4,522.7	2,529.7	1,913.3	616.4	4,357.0	2,083.6	2,273.4	634.0	682.0	770.0
კლება	106.1	54.3	0.0	54.3	10.0	0.0	10.0	30.0	40.0	40.0
ზრდა	0.0	2,686.5	1,576.3	1,110.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	2,686.5	1,576.3	1,110.2	0.0			0.0	0.0	0.0
კლება	1,633.4	0.0	0.0	0.0	3,496.1	2,083.6	1,412.5	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემო-სავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემო-სავლები			



შემოსულობები	8,607.2	11,322.3	3,489.6	7,832.7	7,214.0	0.0	7,214.0	7,344.0	7,494.0	7,679.0
შემოსავლები	8,501.1	11,268.0	3,489.6	7,778.4	7,204.0	0.0	7,204.0	7,314.0	7,454.0	7,639.0
არაფინანსური აქტივების კლება	106.1	54.3	0.0	54.3	10.0	0.0	10.0	30.0	40.0	40.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	10,240.6	8,635.8	1,913.3	6,722.5	10,710.1	2,083.6	8,626.5	7,344.0	7,494.0	7,679.0
ხარჯები	5,717.9	6,106.1	0.0	6,106.1	6,353.1	0.0	6,353.1	6,710.0	6,812.0	6,909.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4,522.7	2,529.7	1,913.3	616.4	4,357.0	2,083.6	2,273.4	634.0	682.0	770.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	-1,633.4	2,686.5	1,576.3	1,110.2	-3,496.1	-2,083.6	-1,412.5	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7 204,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსავლები	8,501.1	11,268.0	3,489.6	7,778.4	7,204.0	0.0	7,204.0	7,314.0	7,454.0	7,639.0
გადასახადები	806.0	3,374.2	0.0	3,374.2	3,380.0	0.0	3,380.0	2,605.4	2,745.0	2,905.0
გრანტები	7,193.1	7,508.5	3,489.6	4,018.9	3,531.6	0.0	3,531.6	4,392.0	4,392.0	4,392.0
სხვა შემოსავლები	502.0	385.3	0.0	385.3	292.4	0.0	292.4	316.6	317.0	342.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3 380,0 ათასი ლარის ოდენობით:

	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			
--	-----------------	-----------------	--	--	--



დასახელება	2015 წლის ფაქტი	მათ შორის			მათ შორის			2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გადასახადები	806.0	3,374.2	0.0	3,374.2	3,380.0	0.0	3,380.0	2,605.4	2,745.0	2,905.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0	256.8	0.0	256.8	280.0	0.0	280.0	400.0	400.0	400.0
ქონების გადასახადი	806.0	3,117.4	0.0	3,117.4	3,100.0	0.0	3,100.0	2,205.4	2,345.0	2,505.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	171.5	1,817.4	0.0	1,817.4	2,000.0	0.0	2,000.0	1,900.0	2,000.0	2,000.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	18.5	22.5	0.0	22.5	20.0	0.0	20.0	5.0	5.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.3	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0	3.0	3.0	3.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	18.2	22.5	0.0	22.5	15.0	0.0	15.0	2.0	2.0	2.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	364.0	414.8	0.0	414.8	350.0	0.0	350.0	104.0	104.0	104.0
ფიზიკური პირებიდან	320.7	279.9	0.0	279.9	300.0	0.0	300.0	100.0	100.0	100.0
იურიდიული პირებიდან	43.3	134.9	0.0	134.9	50.0	0.0	50.0	4.0	4.0	4.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	252.0	862.7	0.0	862.7	730.0	0.0	730.0	196.4	236.0	396.0
ფიზიკური პირებიდან	57.0	50.0	0.0	50.0	30.0	0.0	30.0	6.0	6.0	6.0
იურიდიული პირებიდან	195.0	812.7	0.0	812.7	700.0	0.0	700.0	190.4	230.0	390.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 3531.6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის			
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან		საკუთარი			



			გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები			
გრანტები	7,193.1	7,508.5	3,489.6	4,018.9	3,531.6	0.0	3,531.6	4,392.0	4,392.0	4,392.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,193.1	7,508.5	3,489.6	4,018.9	3,531.6	0.0	3,531.6	4,392.0	4,392.0	4,392.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4,225.0	4,018.9	0.0	4,018.9	3,531.6	0.0	3,531.6	4,392.0	4,392.0	4,392.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,008.0	3,801.9	0.0	3,801.9	3,314.6	0.0	3,314.6	4,100.0	4,100.0	4,100.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	217.0	217.0	0.0	217.0	217.0	0.0	217.0	292.0	292.0	292.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,968.1	3,489.6	3,489.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	1,268.7	1,830.3	1,830.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	714.8	705.1	705.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა პროექტები	984.6	954.2	954.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	984.6	954.2	954.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 292.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის			
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები			



სხვა შემოსავლები	502.0	320.6	0.0	320.6	292.4	0.0	292.4	316.6	317.0	342.0
შემოსავლები საკუთრებიდან	253.2	193.7	0.0	193.7	142.0	0.0	142.0	189.0	189.0	214.0
პროცენტები	168.8	113.6	0.0	113.6	80.0	0.0	80.0	95.0	95.0	120.0
რენტა	84.4	80.1	0.0	80.1	62.0	0.0	62.0	94.0	94.0	94.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	80.8	72.5	0.0	72.5	60.0	0.0	60.0	94.0	94.0	94.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	3.6	7.6	0.0	7.6	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	69.8	9.2	0.0	9.2	70.4	0.0	70.4	7.6	8.0	8.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	7.9	9.2	0.0	9.2	8.4	0.0	8.4	7.6	8.0	8.0
სანებართვო მოსაკრებელი	6.7	9.0	0.0	9.0	6.0	0.0	6.0	6.0	6.0	6.0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1.2	0.2	0.0	0.2	2.4	0.0	2.4	1.6	2.0	2.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	61.9	0.0	0.0	0.0	62.0	0.0	62.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	61.9	0.0			62.0	0.0	62.0	0.0	0.0	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	134.3	95.5	0.0	95.5	80.0	0.0	80.0	120.0	120.0	120.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	44.7	22.2	0.0	22.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6338.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

		2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			



დასახელება	2015 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ხარჯები	5,717.9	6,106.1	0.0	6,106.1	6,353.1	0.0	6,353.1	6,710.0	6,812.0	6,909.0
შრომის ანაზღაურება	1,590.8	1,738.4	0.0	1,738.4	1,574.6	0.0	1,574.6	1,602.3	1,602.3	1,602.3
საქონელი და მომსახურება	1,459.6	1,692.6	0.0	1,692.6	1,954.4	0.0	1,954.4	2,092.6	2,108.6	2,125.6
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	141.2	0.0	141.2	203.3	0.0	203.3	203.3	203.3	203.3
სუბსიდიები	1,705.3	1,939.9	0.0	1,939.9	2,033.0	0.0	2,033.0	2,254.0	2,315.0	2,380.0
გრანტები	388.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	510.9	516.1	0.0	516.1	450.0	0.0	450.0	480.0	505.0	520.0
სხვა ხარჯები	63.3	77.9	0.0	77.9	117.8	0.0	117.8	77.8	77.8	77.8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 323.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა (ხარჯები) 4 348.1 ათასი ლარის ოდენობით:

ორგ.კოდი	დასახელება	2015 წლის გეგმა	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	192.2	31.0	6.6	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	100.0	100.0	100.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4,330.5	2,498.7	4,350.4	534.0	582.0	670.0
04 00	განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა და სპორტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სულ	4,522.7	2,529.7	4,357.0	634.0	682.0	770.0



ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება (შემოსავლები) 10,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	106.1	27.2	10.0	30.0	40.0	40.0
ძირითადი აქტივები	38.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	67.4	27.2	10.0	30.0	40.0	40.0
მიწა	67.4	27.2	10.0	30.0	40.0	40.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა	2020 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,473.4	2,496.9	2,403.1	2,191.2	2,191.2	2,192.2
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,473.4	2,496.9	2,393.1	2,190.2	2,190.2	2,191.2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,473.4	2,496.9	2,335.1	2,140.2	2,140.2	2,141.2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	58.0	50.0	50.0	50.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	0.0	10.0	1.0	1.0	1.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0.0	0.0	10.0	1.0	1.0	1.0
702	თავდაცვა	80.0	90.9	92.8	92.2	92.2	92.2
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	401.0	0.0	0.0	461.5	461.5	461.5
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	401.0	0.0	0.0	461.5	461.5	461.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,108.6	884.2	1,191.6	695.1	725.1	755.1
7045	ტრანსპორტი	1,307.3	308.0	902.1	690.2	720.2	750.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,307.3	308.0	902.1	690.2	720.2	750.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	801.3	576.2	289.5	4.9	4.9	4.9
705	გარემოს დაცვა	2,034.9	788.9	2,298.4	711.0	722.0	783.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	394.1	555.1	694.3	705.0	715.0	775.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	523.9	5.1	657.9	6.0	7.0	8.0



7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	1,116.9	228.7	946.2	0.0	0.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,002.5	1,979.5	2,409.4	464.0	487.0	500.0
7061	ბინათმშენებლობა	72.6	795.2	1,280.1	140.0	150.0	150.0
7063	წყალმომარაგება	329.7	873.9	819.7	8.0	10.0	11.0
7064	გარე განათება	156.9	310.4	309.6	316.0	327.0	339.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	443.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	77.6	85.1	85.0	90.0	90.0	90.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	77.6	85.1	85.0	90.0	90.0	90.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	814.2	872.6	834.2	1,009.0	1,040.0	1,085.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	157.1	164.3	160.0	200.0	210.0	220.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	657.1	708.3	674.2	809.0	830.0	865.0
709	განათლება	607.6	714.1	750.0	950.0	980.0	1,000.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	607.6	714.1	750.0	950.0	980.0	1,000.0
710	სოციალური დაცვა	640.8	723.6	645.6	680.0	705.0	720.0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	317.7	361.0	307.0	300.0	300.0	300.0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	317.7	361.0	307.0	300.0	300.0	300.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	107.2	149.9	160.0	200.0	200.0	200.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	126.6	115.2	70.0	100.0	125.0	140.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	89.3	97.5	108.6	80.0	80.0	80.0
	სულ	10,240.6	8,635.8	10,710.1	7,344.0	7,494.0	7,679.0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2686.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით;

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (გარდამავალი ნაშთი) 2686.5 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 58.0 ათასი ლარის ოდენობით და ხარჯვის განკარგვა მოხდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 217.0 ათას ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 85,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 92.8 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 39.2 ათასი ლარი;

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები. შეიარაღებულ ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და სარეზერვო ძალების მობილიზება.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამა გულისხმობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისა და სამედიცინო შემოწმების ორგანიზებას. აგრეთვე, ორგანიზებას უწევს სამობილიზაციო რესურსის, რეზერვისტების სპეციალურ აღრიცხვასა და მათ სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება მუნიციპალიტეტისათვის. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად ინფრასტრუქტურის გარკვეული ნაწილი მოითხოვს სარეაბილიტაციო, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს და ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას და მოვლა-შენახვას, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას და ექსპლოატაციას, კეთილმოწყობის ღონისძიებებს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს, სტიქიის შემთხვევაში შედეგების სალიკვივიდაციო ღონისძიებებს.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გაწმენდა, აღნიშნული ღონისძიებისთვის განსაზღვრულია 31,9 ათასი ლარი. გზების მოწყობა/რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად განისაზღვროს 5,0 ათასი ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2015 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად (სესხის დაფარვა) გათვალისწინებულია 203,3 ათასი ლარი, ხოლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 529,0 ათასი ლარი, მათ შორის, ქალაქ თეთრიწყაროში გამსახურდიას ქუჩის სარეაბილიტაცია სამუშაოებისთვის 241,4 ათასი ლარი, წერეთლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 79,3 ათასი ლარი, პუშკინის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 121,5 ათასი ლარი, ხოლო რუსთაველის ჩიხის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 86,8 ათასი ლარი.

ქალაქ თეთრიწყაროში თავდადებულის ქუჩის, მუსხელიშვილის ქუჩის მოასფალტების და სოფელ კოდის ცენტრალური გზიდან მუხათში გამავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 74,5 ათასი ლარი ($1489,3 \times 5\% = 74,5$).

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების თანახმად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 2017 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხება 2014-2015 წლებში შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები – 15,5 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ:

- სოფელ ასურეთში შიდა ქუჩების რეაბილიტაციიდან 2,4 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში საქართველოს ქუჩის მოასფალტების სამუშაოებიდან 4,4 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში ჯავახიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოებიდან 2,4 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში გორგასლის ქუჩის მოასფალტების სამუშაოებიდან 3,7 ათასი ლარი;
- ქალაქ თეთრიწყაროში 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოებიდან 2,6 ათასი ლარი;
- მიმდინარე წელს 19,5 ათასი ლარით დაფინანსდება ამავე განკარგულებით 2014-2015 წელს განხორციელებული სოფელ დიდ თონეთში ცენტრალური გზის დარჩენილი ნაწილის მოასფალტების სამუშაოები.

სოფელ მაწევანში არსებული ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის განისაზღვრა 23,4 ათასი ლარი.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება.

ბ.ა) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში 310,0 ათასი ლარით დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას. 55,0 ათასი ლარით დაფინანსდება წყალმომარაგების სისტემის საპროექტო სადარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება. აგრეთვე 40,4 ათასი ლარით დაფინანსდება ბორბალოს ჭაბურღილის მოწყობა (2016-2017 წწ.); 11,7 ათასი ლარით დაფინანსდება ენაგეთის ჭაბურღილის მოწყობა (2016-2017 წწ.). სოფელ ასურეთში სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო



სამუშაოებისათვის განისაზღვრა 32,2 ათასი ლარი (2016-2017 წწ.), სოფელ პატარა თონეთში არსებული სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაციისთვის განისაზღვრა 2,3 ათასი ლარი (2016-2017 წწ.).

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულების თანახმად, თეთრიწაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 2017 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხება 2016 წელს შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები 4,8 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ: სოფელ ჯორჯიამვილში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოებიდან 4,8 ათასი ლარი; სოფელ დიდი ირაგისა და სოფელ წინწყაროს სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან 1,1 ათასი ლარი;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების თანახმად, თეთრიწაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან 2017 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადაირიცხება 2015 წელს შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები 5,6 ათასი ლარის ოდენობით, კერძოდ: სოფელ მუხათში ფაბრიკის დასახლებაში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობის, სოფელ ჯორჯიამვილში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის, სოფელ ტბისში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებელი და საექსპერტო მომსახურებიდან დარჩენილი ეკონომია.

- სოფელ ქოსალარში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისთვის განისაზღვრა 96,6 ათასი ლარი. სოფელ ჩხიკვათში ჭაბურღილის მოწყობისათვის განისაზღვრა 70,0 ათასი ლარი. სოფლების გოლთეთის, ქოთიშის, დურნუკის, მაწევნის და წინწყაროს წყლის სათავე ნაგებობების და ფილტრების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის განისაზღვრა 100,0 ათასი ლარი. სოფელ ასურეთში ყაზბეგის ქუჩაზე სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის – 20,0 ათასი ლარი, სოფელ ხაიშში სასმელი წყლის წყალშემკრები ავზის მოწყობისათვის – 70,0 ათასი ლარი.

ბ.ბ) საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების გაწმენდა (პროგრამული კოდი 03 02 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, რომლისათვისაც გათვალისწინებულია 5,0 ათასი ლარი. დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩის, სტალინის ქუჩის, დემეტრაშვილის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 37,9 ათასი ლარი ($758,9 \times 5\% = 37,9$), ხოლო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მოსამზადებლად 15,0 ათასი ლარი.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის“ საქართველოს მთავრობის 1 ივლისის №1251 განკარგულების საფუძველზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს გამოეყო 570,0 ათასი ლარი დაბა მანგლისში თამარ მეფის ქუჩის, სტალინის ქუჩის, დემეტრაშვილის ქუჩის საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოებისათვის, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსების სახით განისაზღვრა სამუშაოების ღირებულების 5% – 30,0 ათასი ლარი ($600,0 \times 5\% = 30,0$)

ბ.გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, 79,6 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა - შენახვა. გარე განათების ქსელის მიერ გახარჯული ელ. ენერგიის ღირებულების ასანაზღაურებლად, კერძოდ, კომუნალურ გადასახადზე გათვალისწინებულია 200,0 ათასი ლარი. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოწყობისათვის განსაზღვრულია 20,0 ათასი ლარი. 5,0 ათასი ლარით დაფინანსდება გარე განათების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება, ხოლო 5,0 ათასი ლარი განისაზღვრა ტექ. პირობის ასაღებად.



ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება, 690,3 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება გატანა. 4,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ხეების გადაბეღვის სამუშაოებზე.

ბ.ე) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)

- „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 ივნისის №1211 განკარგულების საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 614,4 ათასი ლარიდან 2017 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადირიცხება ქვემოთ ჩამოთვლილ 2015-2016 წელს შესრულებულ სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხები 23,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- სოფელ დიდი ირაგის და ჯიგრაშენის 2 ხიდის სამშენებლო სამუშაოებიდან 19,9 ლარი;
- სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის ერთი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებიდან 3,4 ათასი ლარი.

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულებით გამოყოფილი 200,0 ათასი ლარიდან 2017 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში გადირიცხება 2015-2016 წელს წყლულეთთან სტიქიის შედეგად დაზიანებული მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია 4,5 ათასი ლარის ოდენობით. - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის №964 განკარგულებით გამოყოფილ 50,0 ათას ლარს ემატება 75,1 ათასი ლარი, მათ შორის: „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხიდან დარჩენილი ეკონომია 22,1 ათასი ლარი და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №1106 განკარგულებით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომია 53,0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხებიდან 8,5 ათასი ლარით დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამღერეთში სასმელი წყლის ორი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, ხოლო 21,2 ათასი ლარით დაფინანსდება სოფელ ნავთიანში მისასვლელი სახიდე გადასასვლელების აღსადგენად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება, ხოლო აღნიშნულ განკარგულებიდან 2014-2016 წწ. შესრულებული სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია, 45,5 ათასი ლარის ოდენობით დაბრუნდება ცენტრალურ ბიუჯეტში.

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №1340 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2017 წელს 843,3 ათასი ლარით დაფინანსდება სოფელ ახალსოფელში, სოფელ კლდეისში და სოფელ ვაშლოვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

გ.ა) საბავშვო ბაღების სპორტული მოედნების და ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

25,0 ათასი ლარით დაფინანსდება ქ.თეთრიწყაროში საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება, 5,0 ათასი ლარი განისაზღვრა ტექ. პირობის ასაღებად. სოფელ ფარცხისში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით



გათვალისწინებულია 37,2 ათასი ლარი (743,4*5%=37,2).

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულების თანახმად, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ თანხიდან 2017 წელს ცენტრალურ ბიუჯეტში დაბრუნებული იქნეს 2015-2016 წელს დაბა მანგლისში წერეთლის №5-ში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან დარჩენილი ეკონომია 1,5 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2017 წელს დაფინანსდება შემდეგი პროექტები: სოფელ ასურეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა – 126,7 ათასი ლარით; სოფელ სამღერეთის საბავშვო ბაღის მშენებლობა – 108,1 ათასი ლარით. თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან 12,4 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 228,6 ათასი ლარით დაფინანსდება დაბა მანგლისის, სოფელ წინწყაროს, სოფელ ასურეთის, სოფელ ხაიშის, სოფელ კოდის, სოფელ ჯორჯიაშვილის, სოფელ გოლთეთის, სოფელ ბორბალოს, სოფელ სამღერეთის, ქალაქ თეთრიწყაროს №1 საბავშვო ბაღის და ქალაქ თეთრიწყაროს №2 საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოები (2016-2017წწ.).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 16,6 ათასი ლარით დაფინანსდება ქ.თეთრიწყაროში მუზეუმის შენობის საკანალიზაციო ქსელისა და საპირფარეშოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (2016-2017წწ.).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 9,7 ათასი ლარით დაფინანსდება სოფელ ერტისში მდებარე სარიტუალო დარბაზისათვის სამზარეულოს მისამუშებლად სამშენებლო სამუშაოები (2016-2017წწ.).

